

16.05.2017 წლის ბიუჯეტის კორექტირება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოგიდგენთ 2017 წლის ბიუჯეტის კორექტირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 06.04.2017 წლის #693 განკარგულების მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში, მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 196 448,00 ლარს, ხოლო პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 186 625,00 ლარს. აქედან , პროექტის ჯამური ღირებულების თანხა შეადგენს - 9 823,00 ლარს. 2017 წლის 29 მარტის #4 14 საკრებულოს განკარგულების თანახმად, მოცემული პროექტიდან 5% ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის თანადაფინანსებით განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მიზანშეწონილად მივიჩნევთ ბიუჯეტის კორექტირებას ვინაიდან ქ. ახალქალაქის კულტურის სახლის გათბობის სისტემის მოწყობა შეადგენს - 196 448 ლარს, რომელიც გათვალისწინებულია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში 2016 წლის 27 დეკემბერის # 30 საკრებულოს დადგენილების თანახმად, სადაც მოცემული თანხიდან თანადაფინანსება შეადგენს - 9 823,00 ლარს. მოცემულიდან გამომდინარე ხარჯების ნაწილი მცირდება -186 625,00 ლარით.

პროექტის დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის მაღალმთიანი ფონდიდან გამოყოფილი თანხა	პროექტის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა (მთლიანი ღირებულების 5%)
ქ. ახალქალაქის კულტურის სახლის გათბობის სისტემის მოწყობა	196448,0	186625,0	9823,0

ბიუჯეტის კორექტირებისას შემცირებული ხარჯებიდან (186 625 ლარი) განხორციელდა ცვლილება თანხით 124372 ლარი. დარჩენილი თანხა 62 253 ლარი დაემატოს გარდამავალ ნაშთზე.

გამგებლის ბრძანების N 564 13 და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბრძანების N 16 14 თანახმად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით პრემირებისათვის თანხით - 13000 ლარი, რომელიც იქნა ასევე გათვალისწინებული საკრებულოს (9000 ლარი) და თავდაცვის სამსახურის (4000 ლარი) შრომის ანაზღაურებისათვის.

ასევე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის 2017 წლის 03 აპრილის # 255-13 წერილის თანახმად განხორციელდა ბიუჯეტის ცვლილება შემდეგ პუნქტებში:

1. ბიუჯეტით-ქვეპროგრამა „ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის“ მაქსიმალურ თანხის ზღვარი ტექნიკური ხარვეზის შედეგად

გათვალისწინებულია 1000(ათასი ლარი) დაწესდეს მაქსიმალური ზვარი 1500(ათასხუთასი) ლარის ოდენობით.

2. „მრავალშვილიანი ოჯახებიდან, ინვალიდ , ობოლ და სოციალურად დაუცველ ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება“ ქვეპროგრამის ბენეფიციარებისთვის დაწესდეს სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000 -ქულამდე

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის 15/05/2017 წლის# N 364-13 წერილის თანახმად განხორციელდეს ბიუჯეტის ცვლილება 24 400 (ოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარით თანადაფინანსების დაფარვისათვის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დაავადებათა ჩამონათვალის შესაბამისად.

დასახელება	რაოდენობა	თანხა(ცალი)	სულ (ლარი)
ბავშვთა განყოფილება 0-6წწ-მდე	70	120	8400
საპენსიო ასაკი	50	120	6000
პირველადი კონსულტაცია სადაც არ არის უბნის ექიმი	4000	25	10000

კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის 15/05/2017 წლის N 372-13 წერილის ( ჩვენს მუნიციპალიტეტში აღნიშნული სპორტის სახეობის -რაგბის განვითარებისათვის აუცილებელია ახალქალაქის მუნიციპალიტეტი გაწვევრიანდეს ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბ „ტაო“-ში, გაწვევრიანებისათვის), თანახმად განხორციელდეს ბიუჯეტის ცვლილება 40 000( ორმოცი ათასი) ლარით .

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის 15/05/2017წლის N 370-13 წერილის თანახმად განხორციელდეს ბიუჯეტის ცვლილება 4600 (ოთხი ათას ექვსასი) ლარით. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. დილისკის სპორტული დარბაზისთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად .

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის 2017 წლის 2 მაისის #347-13წერილის თანახმად 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი პროექტების თანხებში განხორციელდა ბიუჯეტის ცვლილება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად, ხარჯების ნაწილზე გაიზარდა - 42372 ლარი გარდამავალი ნაშთიდან. კერძოდ,

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ბარაღეთის იუსტიციის სახლის ტერიტორიის კეთილმოწყობა: გამოყოფილი თანხა - 40000 ლარი; ღირებულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად - 68355,89 ლარი
2. ქ. ახალქალაქის N 3 საბავშვო ბაღის ეზოში მინი სტადიონის მშენებლობა: გამოყოფილი თანხა - 50000 ლარი; ღირებულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად - 59375,12 ლარი

3. დემერჩიანის ქუჩის რეაბილიტაცია (ნაზარეთიანის ქუჩიდან სანაპიროს ქუჩამდე - 135მ): გამოყოფილი თანხა-120000 ლარი; ღირებულება საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად -109559 ლარი
4. ვ. სარქისიანის ქუჩის რეაბილიტაცია (ნაზარეთიანის ქუჩიდან სანაპიროს ქუჩამდე - 150 მ): გამოყოფილი თანხა-140000 ლარი; ღირებულება საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად - 118398 ლარი
5. ერევნის ქუჩის რეაბილიტაცია (ნაზარეთიანის ქუჩიდან სანაპიროს ქუჩამდე - 201მ): გამოყოფილი თანხა-160000 ლარი; ღირებულება საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად - 193427 ლარი
6. სპანდარიანის ქუჩის რეაბილიტაცია (ნაზარეთიანის ქუჩიდან სანაპიროს ქუჩამდე - 238 მ): გამოყოფილი თანხა-200000 ლარი; ღირებულება საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად - 194514 ლარი
7. კუნინანცის ქუჩის /სანაპიროს შესახვევის რეაბილიტაცია (მალხასიანის ქუჩიდან სანაპიროს შესახვევამდე - 316 მ): გამოყოფილი თანხა-240000 ლარი; ღირებულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად - 257567 ლარი
8. ქ. ახალქალაქის რუსთაველის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია (95მ): გამოყოფილი თანხა-60000 ლარი; ღირებულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად -51176 ლარი

ცვლილების შედეგად გარდამავალი ნაშთი შეადგენს - **1 079 017** ლარს